საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

20 ივნისი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 114 (10 527) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გზა დაელოცოთ!

საქართველოს სამბისტები იტალიას გაფრინდნენ

გუშინ თბილისიდან მოსკოვის გავლით იტალიაში გაფრინდა საქართველოს რესპუბლიკის სამბისტთა ნაკრები გუნდი, რომელიც ევროპის ალტერნატიულ ჩემპიონატში გამოვა. აქ უჩვეულო თითქოს არაფერია — საქართველოს მოჭიდავეებს ყველა სახეობაში ადრეც უცდიათ ძალები საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ მაშინ ისინი საბჭოთა კავშირის ღირსებას იცავდნენ და მათი გამარჯვებებიც იმპერიის სპორტულ დიდებას ემსახურებოდა. ახლა სულ სხვაა! სამბო ჩვენთვის ჭიდაობის ის პირველი სახეობა გახლავთ, რომელშიც საქართველოს ათლეტები კონტინენტის ალტერნატიულ ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის კი არა, საკუთარი ქვეყნის — საქართველოს დროშით, დამოუკიდებელი გუნდით იასპარეზებენ და მოგებაც და წაგებაც ჩვენი სიხარული თუ სინანული იქნება.

ევროპის ამ ჩემპიონატზე, რომელზეც მედლების კომპლექტები 11 წონით კატეგორიაში გათამაშდება, ჩვენი ფალავნები 10 კაცის შემადგენლობით გამოვლენ (მონაწილე არ ჰყავთ ყველაზე მჩატე წონაში). გუნდში მსოფლიოს 4 ჩემპიონი და ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის 3 ფალავანია, სხვებიც არაერთ დიდ ტურნირში ნაწრთობი ბიჭები არიან, რაც გვაიმედებს, რომ ისინი შინ გამარჯვებულნი ჩამოვლენ. ყოველ შემთხვევაში, გვჯერა, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის მოჭიდავეებთან ბრძოლებში თავს არ შეირცხვენენ, შინ საპრიზო ადგილების გარეშე არ დაბრუნდებიან.

მკითხველმა იქნებ იკითხოს, სად არის საბჭოთა ნაკრებიო? იგი ამ ჩემპიონატში ვერ გამოვა, რადგან ამას წინათ ძალა სცადა ევროპის ტრადიციულ პირველობაში, რომელსაც ალტერნატიული ჩემპიონატის მონაწილეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს.

საქართველოს რესპუბლიკის ნაკრების ბოლო ვარჯიშზე გავესაუბრეთ გუნდის რამდენიმე წევრს. მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი მალხაზ ბერუაშვილი ამოვიღეთ მიზანში, იმიტომ, რომ მალხაზმა, რომელიც ამჟამად ქარელის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსად მუშაობს, აქტიურ სპორტს თავი დაანება — რეგიონში შექმნილმა საგანგებო ვითარებამ აიძულა იგი ეს ნაბიჯი გადაედგა.

— ჩემს რესპუბლიკას სადაც ვჭირდები, იქ უნდა ვიყო, ამიტომაც, ალბათ, დროებით დავუბრუნდი ხალიჩას. ბედნიერი ვიქნები, თუ იტალიიდან ჩემპიონის ოქროს მედლით დავბრუნდები, რადგან ვიცი, ჩვენი სპორტის საერთაშორისო აღიარების საქმეში ყოველი ასეთი ჯილდო წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. თავს არ დავზოგავ!

რწმენით აღსავსემ გვითხრა მალხაზმა და ძმის — გელას, მსოფლიო ორგზის ჩემპიონის ჯემალ მჭედლიშვილის, გუნდის ყველა წევრის აზრიც გამოხატა. მკითხველს იმასაც მოვაგონებთ, რომ ეს სამი ქარელელი მოჭიდავე სხვადასხვა დროს რესპუბლიკის ფალავანი იყო ქართულ ჭიდაობაში.

მათ გარდა ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების ღირსებას დაიცავენ ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონები: ფოთელი მურთაზ თურქია და საგარეჯოელი ნიკო გაგნიაშვილი, მისი თანაქალაქელები: გოჩა მეკოკიშვილი და კობა კუპატაძე, დუშელი გია ნაცვლიშვილი, თბილისელები: შევლუდ შელაძე და გურამ ქარჩაიძე.

მათთან ერთად არიან მწვრთნელები — ნოდარ ექვთიმიშვილი, სპარტაკ ჯინორიძე, გია ოქროპირიძე, ექიმი ნათელა ექვთიმიშვილი.

ცხადია, ყველას ერთი სურვილი გვაქვს: ბიჭები ჩემპიონატიდან ვალმოხდილნი, გამარჯვებულნი დაგვიბრუნდნენ. ალბათ, ასეც იქნება. ჰოდა, ამ ტურნირზე ქართველი ფალავნების ბრძოლებს სათანადო ასახვაც დასჭირდება. ამ საქმეს კი ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, „ლელოს" რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე და საქტელერადიოს დეპარტამენტის სპორტული პროგრამების მთავარი რედაქტორი დავით ქლიბაძე შეძლებენ — გუნდთან ერთად იტალიას ისინიც გაემგზავრნენ.

გზა დავულოცოთ, წარმატება ვუსურვოთ!..

ოთარ ბელაშვილი

ფოთი — წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი

მოვლენა და მისი — განსაკუთრებული!

— ამ ორიოდე დღის წინ, მსოფლიოს 12 ქვეყნიდან მივიღეთ წინასწარი განაცხადი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ვფიქრობთ, ჩემპიონატში მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება —განაცხადა საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ რ. მელიამ ფოთში 18 ივნისს გამართულ საგანგებო თათბირზე.

წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის ჩატარებამდე ორიოდე თვეღა რჩება. თუ გავითვალისწინებთ სამუშაოთა მასშტაბებს, ეს დრო „თავზე საყრელი" ნამდვილად არ არის. სწორედ ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონატისთვის მხოლოდ ფოთი კი არა, მთელი საქართველო ემზადება. აქ თავს უყრიან საუკეთესო ძალებს. სამთავრობო საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც რამდენჯერმე გადახალისდა, ოპერატიულად აგვარებს წამოჭრილ პრობლემებს, რომელთა რიცხვი, მიზეზთა და მიზეზთა გამო, უფრო მეტია, ვიდრე შეიძლებოდა გვევარაუდა. აი, ასეთმა ვითარებამ განაპირობა ფოთში გამსვლელი სხდომების ჩატარება, რომელთაც პირადად უძღვება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა. ევროპის ჩემპიონატისათვის სამზადისი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ამიტომ, ახლა ტემპების გაზრდა, გაათკეცებული ძალისხმევაა საჭირო. ეს ხაზგასმით ითქვა გუშინწინ, ფოთში გამართულ თათბირზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები: ბაქარ გიგინეიშვილი და გურამ აბსანძე, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ჩასულებმა დაათვალიერეს მშენებარე ობიექტები. თათბირზე საბო-

იხ. 2 გვ.

ევროპის ჩემპიონატისათვის სამზადისს წუთითაც არ აკლია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყურადღება.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

გამოხმაურება

ო, რა ძნელია...

არ შეიძლება, ადამიანმა, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს სპორტული დიდება, აუღელვებლად წაიკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 14 ივნისის ნომერში დასტამბული ბატონ მურთაზ მნათობიშვილის წერილი — „სპორტსმენის ბედი ყველას საზრუნავია!". ავტორმა მთელი თავისი სიცოცხლე ამ დარგს დაუკავშირა, სპორტის ოსტატი, თავის შემდეგ საქმიანობასაც ამ დარგში აგრძელებს — საქართველოს განათლების სამინისტროში მოზარდთა ფიზაღზრდას ხელმძღვანელობს და შესანიშნავად იცის, რა ძნელია იყო ისეთი ათლეტი, რომელსაც ყოველთვის ხელეწიფება ყველა რანგის ასპარეზობაში ღირსეულად დაიცვას რესპუბლიკის პრესტიჟი. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თანამედროვე საქართველოს დღემდე არც ერთი მსოფლიო სტანდარტის ნაწარმი არ გააჩნია, რასაც ვერ ვიტყვით სპორტზე. აქ სულ სხვა სურათია — საქართველოს უფრო შორს გაუთქვეს სახელი სპორტსმენებმა, ვიდრე სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგის მუშაკებმა. ამით ამ უკანასკნელთა ღვაწლი სულაც არ კნინდება — იქაც გვაქვს სასიქადულო, ოღონდ — აქა-იქ.

რესპუბლიკაში მომხდარი ბოლოდროინდელი სასიკეთო ცვლილებები განათლების სისტემასაც შეეხო, კერძოდ, ზოგადი და სპეციალური განათლების მოდელის ძირეულ გარდაქმნას — გაუქმდა აბიტურიენტებისათვის აქამდე არსებული შეღავათები, გაუქმდა მისი გაუკუღმართების გამო და ამაზე ნათლადაა მითითებული წერილში. გვჯერა, ეს ღონისძიება კარგ შედეგს გამოიღებს: საგრძნობლად შემცირდება რიგები იმ ცრუ სპორტსმენებისა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში იოლად მოხვედრის მიზნით სხვადასხვა მაქინაციებს მიმართავდნენ.

მაგრამ რა ქნას მან, ვინც მთელი არსებით სპორტსმენია, წვრთნაში დღე და ღამეს ასწორებს, სარბიელზე დიდ წარმატებებსაც აღწევს, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს კი, ამის გამოც, ისე ვეღარ აბარებს, როგორც განსაკუთრებით ნიჭიერნი.

მხარს ვუჭერ ბატონ მურთაზ მნათობიშვილის წინადადებას — ნუ დავივიწყებთ საქართველოს იმ ახალგაზრდა უძლიერეს სპორტსმენებს, რომელთაც უმაღლესი განათლების მიღება სურთ, რათა აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგაც მთელი თავიანთი ცოდნა ერის კეთილდღეობას მოახმარონ. ხომ არის ამის უამრავი მაგალითი.

მზია ჯუღელი,
ოლიმპიური ჩემპიონი.

ტურნირები და შედეგები

● **ნიუ-იორკი.** კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა შეადგინეს უძლიერეს მოთამაშეთა ხუთეული, რომელიც გამოიყურება ასე: კარლ მელოუნი („იუტა ჯაზი"), ჩარლზ ბარკლეი („ფილადელფია-76"), დევიდ რობინსონი („სან ანტონიო სპურსი"), მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო ბულსი") და „მეჯიკ" ჯონსონი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი").

● **ჰავანა.** როგორც ცნობილია, ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ლიგის გათამაშებაში მონაწილე ათი უძლიერესი გუნდი ორ ჯგუფადაა დაყოფილი. ჯგუფებში უკვე 8-8 შეხვედრა ჩატარდა. პირველ ჯგუფში ლიდერობს კუბის ნაკრები, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და „ელექსის" ფირმის რეიტინგით უმაღლესი შეფასება დაიმსახურა (2696 ქულა). მეორე ჯგუფში დაწინაურდა სსრკ ნაკრები (შვიდი გამარჯვება, ერთი მარცხი), მაგრამ რეიტინგით კუბის გუნდს საგრძნობლად ჩამორჩება (1680 ქულა).

სტამბული. თავის ისტორიულ სამშობლოში — თურქეთში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა ბულგარეთის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში ილჰან სადიკ-ოღლუმ (68 კგ). თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოპერატიულად განიხილა თხოვნა და დააკმაყოფილა იგი.

● **ბუდაპეშტი.** მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაშნით ფარიკაობაში ვაჟთა შორის მოიპოვა ანდრეი შუვალოვმა, რომელმაც ფინალში გერმანელი რობერტ ფელისიაკი დაამარცხა 2:5,5:3, 5:3.

● **ტოკიო.** სექტემბერში იაპონიის დედაქალაქი მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. მედლების პირველ კომპლექტს, ორგანიზატორთა განცხადებით, მარათონელები გაითამაშებენ, ვინაიდან შეჯიბრება დაიწყება დილის 6 საათზე, როცა ტოკიოს ქუჩებში ნაკლები მოძრაობაა.

სხვებს არ ჩამორჩნენ...

ქართველი მკლავჭიდელების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა კიდევ უფრო პოპულარული გახადა ჩვენში სპორტის ეს სახეობა. ამის საუცხოო დასტურია ჩვენი ქალაქების წარმოება-დაწესებულებებში (სპორტულ ორგანიზაციებზე რომ არაფერი ვთქვათ) გაჩაღებული ნამდვილი ბუმი მკლავჭიდისა. თბილისის საშენ-მასალათა კომბინატის მუშა-მოსამსახურეებიც არ ჩამორჩნენ სხვებს და ახლახან კომბინატის დასასვენებელ სკვერში მკლავჭიდის მეტად საინტერესო ტურნირი მოაწყვეს. რაც მთავარია, ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად ორგანიზატორებმა არაფერი არ დაიშურეს, მათ შორის არც ფული და ამიტომ, საპრიზო ადგილებზე გასულ მოყვარულ მკლავჭიდელებს საკმაოდ სოლიდური ფულადი პრემიები გადაეცათ.

ვ. ხაჩიძის ფოტო.

მოვლენა და მისია — განსაკუთრებული!

(დასასრული)

ლოოდ დაზუსტდა შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა. მთავრობის თავმჯდომარესთან ანგარიშით წარსდგნენ ის პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებსაც ადრინდელი სხდომის ოქმით კონკრეტული საკითხების მოგვარება ჰქონდათ დავალებული.

— ამიერიდან, ხუთშაბათობით, ფოთში, შესასრულებელ სამუშაოთა მიხედვით, შეიკრიბებიან მაღალი რანგის ხელმძღვანელები, რომლებიც ერთობლივად და ოპერატიულად უზრუნველყოფენ დადგენილ ვადებში სამუშაოთა შესრულებას. თათბირებს უხელმძღვანელებს თამაზ ვაშაძე — საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილე — გვითხრა საქართველოს მთავრობის დარგის წამყვანმა სპეციალისტმა ნოდარ მახათაძემ.

გუშინწინდელი სამთავრობო თათბირის შედეგები შეაჯამა ბატონმა თენგიზ სიგუამ. ეს ინფორმაციაც მისი სიტყვებით გვინდა დავასრულოთ: „წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა დიდი პატივია ჩვენი რესპუბლიკისთვის, რადგან ჩვენში ასეთი რანგის ასპარეზობა არასდროს გამართულა. გარდა სპორტულისა, ამ ღონისძიებას აქვს უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა. უცხოელები საკუთარი თვალით იხილავენ, როგორ იბადება ახალი რესპუბლიკა, საშუალება გვეძლევა სტუმართა მეშვეობით სიმართლე გავიდეს საზღვარგარეთ, სადაც ჯერ კიდევ ბატონობს „ცენტრის" საინფორმაციო მანქანის პროდუქცია — დეზინფორმაცია. ჩვენ უკან არაფერზე დავიხევთ, ბევრი სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიება გადავდეთ, ჩემპიონატი კი რესპუბლიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა, განსაკუთრებულია მისი მისიაც, ამიტომ, ყველა გულიანად უნდა გავისარჯოთ ღირსეული მასპინძლობისათვის".

„ლელოს" სპეც. კორ.

ფოთი.

წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩამპიონატის მასპინძლებს თავისი სამსახური შესთავაზა თურქმა ბიზნესმენმა ნური აიდინოღლიმ, რომელიც წარმოშობით ლაზია. ნური აიდინოღლი ამ დღეებში საქართველოში ჩამოვიდა კონკრეტული საკითხების შესათანხმებლად.

სურათზე: ნ. აიდინოღლი (მარცხნივ) და მისი ბათუმელი მეგობარი, ეკონომისტი ალექსანდრე მიქელაძე, რომელიც სტუმარს თარჯიმნობას უწევს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული სპორტის სამომავლოდ

კარგი რამ გვჭირდეს, გვიკვირდეს...

საქართველოს სპორტის სუვერენული ინტერესები ფიზიკური აღზრდის სისტემის ორგანიზაციული, იდეოლოგიური, ფინანსური, მეცნიერული და პროგრამულ-ნორმატიული საფუძვლების ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს.

დოგმატიზმის, დიქტატის, ბიუროკრატიის და ფორმალიზმის პარალელურად, იმპერიულ სპორტს ახასიათებს წვრთნის შაბლონური პრინციპი, რეკორდომანია, სპორტსმენთა მომზადების ყაზარმული რეჟიმი, მდარე სანახაობრივი მხარე, სოციალური გარანტიის უქონლობა, სიცრუეზე დაფუძნებული იდეოლოგია, სახსრების უკმარობა, პიროვნების რობოტად გადაქცევა, სამედიცინო-ბიოლოგიური და მომსახურების სხვა სფეროების ჩამორჩენა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: ფიზიკური აღზრდის საბჭოურ სისტემას ამდენი უარყოფითი მხარეები თუ აქვს, მაშ რამ განაპირობა მისი მაღალი სპორტული კონკურენტუნარიანობა? ჩვენი აზრით, ეს ძირითადად უნდა აიხსნას დაუშვებელი ფორსირებული წვრთნით, მასობრიობითა და უდიდესი საერთო სპორტული პოტენციალით.

ამ წერილში მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ იმპერიული სპორტის იმ ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს, რომლებიც დაუყოვნებლივ გადასახედი და მოსაწესრიგებელია.

დავიწყოთ სპორტის სანახაობრიობითა და დაფინანსებით.

სპორტი, როგორც სანახაობა, ოდითგანვე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ არასწორი საბჭოური პოლიტიკის გამო, მას მაყურებელი თანდათანობით მოაკლდა, სპორტში მომეცადინეთა რაოდენობამ კი იკლო. ამით სპორტს, ერთი მხრივ, ფულადი შემოსავალი შეუმცირდა, მეორე მხრივ კი ხარჯები გაეზარდა. ასეთ ვითარებაში, აუცილებელი გახდა სპორტის თვითდაფინანსებაზე გადასვლა.

ამ მძიმე მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ დაუყოვნებლივ აღდგება სპორტის სანახაობითი დანიშნულება, ყურადღება გამახვილდება მაღალკონკურენტუნარიან სპორტის სახეობებზე, შეიქმნება სპეციალიზებული მრავალდარგოვანი საქველმოქმედო ასოციაციები, დროულად მოიძებნება სპონსორები და მეცენატები.

სპორტის სანახაობრიობის აღსადგენად და მაყურებელთა მისაზიდად აუცილებელია სპორტსმენთა ტექნიკური, ტაქტიკური, ფიზიკური და ფსიქიკური მომზადების ამაღლება; ობიექტური, კვალიფიციური მსაჯობის დამკვიდრება; სპორტბაზების კეთილმოწყობაზე ზრუნვა. ამ საკითხების მოგვარების გარეშე შეჯიბრებებს მაყურებელი ნაკლებად დაესწრება და სპორტის რეკლამის საშუალებად არ გამოდგება. ლოგიკურია, მას არც სპონსორი მიეტანება.

სპონსორობა და მეცენატობა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ სპორტის ფინანსური საფუძვლების განმტკიცების ყველაზე საიმედო გზად მიგვაჩნია სპეციალიზებული, მრავალდარგოვანი საქველმოქმედო ასოციაციების შექმნა, აგრეთვე, თვითდაფინანსების სხვა გზების ძიება.

გადასახედია სპორტსმენთა ცენტრალიზებული მომზადებისათვის მოწყობილი შეკრების ფორმა, რაოდენობა და რეჟიმი.

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ იდეალურ პირობებშიც კი ხშირი და ხანგრძლივი შეკრებები მომაბეზრებელია. თუ ამას დაემატება ის, რომ სპორტსმენები ცხოვრობენ სასტუმროს აუტანელ პირობებში, სავალდებულო წესით ერთდროულად აძინებენ, აღვიძებენ, ასვენებენ, ართობენ, სტანდარტულად კვებავენ და სხვა ყაზარმული წესებით აცხოვრებენ, მაშინ ნათელი გახდება, რამდენი რამ არის გამოსასწორებელი ამ სფეროში.

ტრადიციული შეკრებების განსაკუთრებით შეუწყნარებელ შეცდომად მიგვაჩნია ის, რომ სპორტსმენის ყოფა-ცხოვრების ყოველგვარ საკითხზე ზრუნავს მწვრთნელი. ამგვარი მოჭარბებული მეურვეობის გამო, სპორტსმენი პასიური ხდება და ვეღარ იძენს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო ელემენტარულ ცოდნა-ჩვევებსაც კი. ეს სამარცხვინო ნაკლოვანი მხარე განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება მაშინ, როდესაც საბჭოთა სპორტსმენი საზღვარგარეთის რომელიმე კლუბში ხვდება ან დამოუკიდებლად იწყებს ცხოვრებას. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ცხოვრებისათვის ადამიანის მომზადების ფუნქციას სპორტი ვერ ასრულებს, ეს კი მის უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ხანგრძლივი შეკრებების ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა აგრეთვე ის, რომ სპორტსმენი თითქმის მთლიანად სწყდება სწავლას, ფარგავს საუკეთესო წლებს ცოდნის შესაძენად. მართალია, დიდი დახმარების წყალობით, უმაღლესი განათლების დიპლომის მიღებას თითქმის ყველა სპორტსმენი ახერხებს, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ თითოეული მათგანი პროფესიული შემოქმედებითი შრომისათვის ნაკლებადაა მზად.

ჩვენი აზრით, თანდათანობით უნდა შემცირდეს ასეთი შეკრებების რაოდენობა. საკმაოდ მცირე თანხა დაიხარჯება, თუ სპორტსმენს ნაღდი ფული მიეცემა კვებისათვის ინტენსიური წვრთნის პერიოდებში,- ისე, რომ არც სახლს მოსწყდეს და თავისუფალიც იყოს ყაზარმული კონტროლისაგან. რა თქმა უნდა, სპორტსმენი საამისოდ უნდა მომზადდეს.

სპორტსმენთა მომზადების ამერიკული და საბჭოთა სისტემების შესახებ ემიგრანტი ე. რუბინი თავის ინტერვიუში ამბობს:

„ამერიკელი სპორტსმენი თავისუფალია. ის, როგორც სხვა ჩვეულებრივი ადამიანი, შეჯიბრებისათვის მომზადების პერიოდშიც კი შინ ცხოვრობს, მის დღის რეჟიმს არავინ აკონტროლებს და არც მეურვეობს ვინმე; ვარჯიშობს ძირითადად გუნება-განწყობილების მიხედვით; ყოველივე ამის შედეგად, ცხოვრებისეული პრაქტიკისათვის უკეთ ემზადება და გვიანაც ბერდება. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი სპორტული შედეგები 32-33 წლის ასაკშიც კი უმჯობესდება.

საბჭოთა სპორტსმენი კი უკიდურესად შეზღუდულია. შეკრების პერიოდში ყველა სპორტსმენი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს, სტანდარტულად იკვებება, მათ მკაცრად აკონტროლებენ და მოჭარბებულად მეურვეობენ. ყოველივე ამის გამო, ისინი უსუსურნი ხდებიან და ნაადრევად ტოვებენ აქტიურ სპორტს".

სამწუხაროა ისიც, რომ ცენტრალიზებულ, ხანგრძლივ ყაზარმულ შეკრებებს ჩვენში იმით ამართლებენ, თითქოს საბჭოთა სპორტსმენები შეჯიბრებისთვის მზადების რეჟიმს არ იცნობენ. განა ეს ფაქტი თავისთავად არ მეტყველებს სპორტსმენთა აღზრდის იმპერიული სისტემის ერთ-ერთ უდიდეს ნაკლზე?

სპორტსმენთა მომზადების საბჭოური სისტემის უარყოფით მხარეთაგან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საწვრთნელი დატვირთვის მოცულობის დაუოკებელი ზრდა და საყოველთაო სტანდარტიზაცია. ვინც ამ პროკრუსტეს სარეცელს ვერ მოერგო, ყველამ ნაადრევად დატოვა სპორტი. ოფიციოზი ამ ზარალს სიამაყით შეჰყურებს დღესაც და იმით იმხნევებს თავს, რომ უმსხვერპლოდ არაფერი კეთდება. ნუთუ მართლა სხვა გზა არ არსებობს?! ამ მავნე პრაქტიკას დოგმატიკოსები საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა შედეგების ყოველწლიური ზრდით ამართლებენ. ერთი შეხედვით, მართლები არიან, მაგრამ საქმეში ჩახედულმა სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა სპორტის მზარდი კონკურენტუნარიანობა ძირითადად ეფუძნება არალეგალური ინდივიდუალური წვრთნის ოპტიმიზაციის პრინციპს და არა „ცენტრიდან" თავსმოხვეულ შაბლონური წვრთნის რეჟიმს.

ათეული წლების განმავლობაში, საკავშირო შეკრებებზე ქანცგამცლელი ფიზიკური დატვირთვების გამო, საქართველოს ნიჭიერი სპორტსმენები კონვეიერული წესით გამოდიოდნენ მწყობრიდან. ასე იკარგებოდნენ დიდი ძალისხმევით მოძიებული პოტენციური მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები. აღარაფერს ვამბობთ იმ ბატალიებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში ჩვენი სპორტსმენის უდავოდ კუთვნილი ადგილის დაკავებასთან, არაობიექტურ მსაჯობაზე და ა. შ. ამიტომაცაა შეუძლებელი საქართველოს სპორტული პოტენციალის სრულყოფილად გამომჟღავნება იმპერიიდან თავის დაუღწევლად.

ქანცგამცლელი საწვრთნელი დატვირთვებით სპორტსმენთა მომზადების მავნე პრაქტიკას ოპოზიცია თავიდანვე გაუჩნდა, მაგრამ ლეგალური დაპირისპირება მხოლოდ 70-იან წლებში მოხდა. პროგრესულად მოაზროვნე მწვრთნელებისა და სპეციალისტების მიერ იმ დროს გამოქვეყნებულ სტატიებში ვკითხულობთ:

— დიდი მოცულობის ფიზიკური დატვირთვების შემთხვევაში, სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და ოსტატის ტექნიკური შედეგები ქვეითდება (ნ. ბულგაკოვი, 1975 წ.; ს. ვოიცეხოვსკი, 1978 წ.).

— ფიზიკური დატვირთვების საკავშირო სტანდარტებით მზადება ყოველთვის უარყოფითად მოქმედებდა „თეთრი ოლიმპიადის" (1976 წ.) გმირ ი. გერასიმოვას, ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატების, უროს მტყორცნელების: ა. ბონდარჩუკის, ი. ბაჟუკოვის და სხვა პერსპექტიული სპორტსმენების ტექნიკურ შედეგებზე (ი. ბაკარინოვი: 1976; ა. აკენტიევი, 1978 წ.).

— 1977 წელს ჩატრებული შეჯიბრებების შედეგების ანალიზით გამოირკვა, რომ ყველა გამარჯვებული სპორტსმენი მომზადების პერიოდში უფრო ნაკლებად დაიტვირთა, ვიდრე დამარცხებულნი (ა. აკენტიევი, 1978 წ.).

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მზარდი სპორტული კონკურენტუნარიანობა აიხსნება მრავალწლიან საწვრთნელ ციკლში ფიზიკური დატვირთვების თანდათანობით შემცირებით (ლ. გოროხოვსკი, 1978 წ.).

ანალოგიური მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ჯობს, სხვა ნაკლოვან მხარეზეც ითქვას.

დროის სარტყელზე ვითომ ადაპტაციის მიზნით „ცენტრმა" დაამკვიდრა შუაღამის შემდეგ საწვრთნელი მეცადინეობა (?!). ეს მეთოდი ერთხანს ჩვენს სახელოვან სპორტსმენს ლ. თედიაშვილსაც მოახვიეს თავს, მაგრამ მან მალე მიატოვა ბიორიტმისათვის ყოვლად შეუთავსებელი წვრთნის ეს რეჟიმი და ამით მნიშვნელოვნად გაიხანგრძლივა მაღალი მიღწევების პერიოდი.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „ცენტრის" მიერ მოწოდებულ საადაპტაციო წვრთნის ამ უსაფუძვლო მეთოდმა დიდი ზიანი მოუტანა მოციგავეთა ოლიმპიურ ნაკრებ გუნდს, ეჭვგარეშეა, რომ ვინც კი ამ მეთოდით ისარგებლებდა, კარგი დღე არავის დაადგებოდა.

„ცენტრი" ამ მავნე წვრთნის მეთოდს ამკვიდრებდა მაშინ, როდესაც ადაპტაციის უვნებელ, ეფექტურ გზად აღიარებულია ახალი დროის სარტყელის ზოლში შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩასვლა და იქ ცხოვრება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სამედიცინო-ბიოლოგიურ სფეროში დამკვიდრებული სპორტსმენთა დიაგნოსტიკის საყოველთაო სტანდარტიზაცია. ამ მანკიერ სტილზე დაყრდნობით XVIII ოლიმპიურ თამაშებზე მიმავალ თავისუფალი სტილის მოჭიდავეს ნ. ხოხაშვილს „ცენტრი" უკან აბრუნებდა იმის გამო, რომ მისი ელექტროკარდიოგრამა არ ემთხვეოდა სტანდარტულ სურათს. მაგრამ, პროგრესულად მოაზროვნე უფროსი მწვრთნელის დაჟინებული მოთხოვნით, იგი ტოკიოში მაინც ჩავიდა და კარგადაც იასპარეზა — მესამე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ აქტიურ სპორტში ყოფნის და მისი მიტოვების შემდეგაც იგი ჯანმრთელობას არასოდეს უჩიოდა.

თუ რატომ იყენებდა იმპერია ნაკლოვანებებით აღსავსე სპორტსმენთა მომზადების სისტემას, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია. ჩვენი მხრივ კი თავს ვალდებულად ვთვლით, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ეროვნულ სპორტს ახალი საძირკველი უნდა ჩაეყაროს, დამოუკიდებელ საქართველოში მაქსიმალურად ამოქმედდეს ჩვენი სპორტული კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყველა ბერკეტი.

გ. იაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

ა. ჩუთლაშვილი,
ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი,

ბ. ჩუთლაშვილი.

კურიოზული ფინალი

ვარკეთილის სტადიონზე ხუთ კოლექტივს მოუყარა თავი საქართველოს პირველობამ 1977-78 წლებში დაბადებულ ჭაბუკ მორაგბეთა შორის. უძლიერესის წოდებას ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის „მართვე" და „ლელო", ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, ქუთაისის „აია" და ზესტაფონის „იმერეთი".

ქუთაისელთა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს, ერთმანეთში კი ფრედ — 4:4 ითამაშეს. შეიქმნა კურიოზული სიტუაცია: ქულათა თანაბარი რაოდენობის გარდა გუნდებს გატანილი და მიღებული ლელოების რაოდენობაც ტოლი აღმოაჩნდათ და ამიტომაც ორივენი ჩემპიონებად გამოცხადდნენ.

თუ ქუთაისის „აიას" (მწვრთნელი ავთო ჩუბინიძე) ეს შედეგი მოულოდნელი არ გახლდათ, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდისგან (მწვრთნელი ლევან მგელაძე), რომელიც რამდენიმე თვეა რაც შეიქმნა, წარმატებას არავინ ელოდა. სასიამოვნოა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში უფროსთა გუნდის გარდა, ყურადღება ეთმობა ბავშვთა კოლექტივსაც. პატარებს სპონსორიც ჰყავთ — კოოპერატივი „ანტიკვარი" (თავმჯდომარე ვ. ბურდული), რომელიც მათ ვარჯიშისთვის კარგ პირობებს უქმნის.

მესამე ადგილზე თბილისის „მართვე" გავიდა.

ნინო დვალი

* * *

მოკლედ

ფუთში ქუდებს ცაში ისროდნენ

თანასოფლელთა სპორტულ წარმატებას მუდამ სიხარულით განიცდიან ფუთელები. ამ დღეებში ფეხბურთელებმა გაახარეს გულშემატკივრები. მინიფეხბურთში სოფლის სპორტსმენთა რაიონულ პირველობაში, რომელშიც 18 გუნდი მონაწილეობდა, ფუთელებმა ფინალში რკინიგზის კვანძის ფეხბურთელებს სძლიეს. მესამე ადგილზე კვალითელები გავიდნენ.

ზაზა ბელაშვილი,
ზესტაფონი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

X ტური

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:2 (3:1).

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 17 ივნისი.

„მარგვეთი“: დევაძე (ნიქაბერიძე), ტოგონიძე, ლონლაძე, გურიელიძე, ლაცაბიძე, გაბრიჭიძე, ინიაშევი, ავრამიდისი (ხუჯაძე), ჭულელი, კიკნაძე, კერძევაძე (ფოცხვერაშვილი).

„კოლხეთი“: ბერაძე, ხურცილავა (კალუგა), ცოტაძე, შურღაია, ლატარია, მ. მამფორია, გვახალია, რუხაძე, გოგაძე, პიმუშინი, ჰიჰინაძე.

მსაჯები: ე. ხილაგავა, ტ. ნიშნიანიძე — (ორივე — თბილისი), მ. აბაიაძე (გორი);

გოლები: ლაცაბიძე-2, გაბრიჭიძე, ინიაშევი, კაციტაძე, პიმუშინი.

„სულორი“ (ვანი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 6:2 (3:1).

ვანი. გ. ნიკოლეიშვილის სახელობის სტადიონი. 17 ივნისი.

„სულორი“: კიკალეიშვილი, კიკნაძე, გ. ვერულაშვილი, ზენაიშვილი, ძაგნიძე, ორმოცაძე, პაიკიძე, გიზო ბრეგვაძე (ბუიშვილი), ხურცილავა (დვალიშვილი), ჯ. ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე.

„სანავარდო“: გამყრელიძე (თოდაძე), კოხრეიძე, ვაშაკიძე, ბეგეშიძე, ტონია, ლორთქიფანიძე, რუხაძე, ჩხაიძე, ხობოლი, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ბ. ბრეგვაძე.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), გ. ახკაროღლი (ქარელი), ა. ნიშნიანიძე (ტყიბული).

გოლები: კიკალეიშვილი (პენალტით), პაიკიძე, გიზო ბრეგვაძე, ჯ. ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე, ბუიშვილი, დურმიშხან თვალაბეიშვილი-2.

გააფრთხილეს კ. გამყრელიძე.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მზიური“ (გალი) 4:3 (2:2).

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 17 ივნისი.

„ამირანი“: კოპალიანი, ახვლედიანი (გომონოვი), ძალამიძე, შამუგია, ჩხვირკია, შიროკი, ლურწკაია, აფენდოპულო, ქობალია (გაბისონია), გუჩუა, პაპასკირი.

„მზიური“: გეთია, ლურწკაია, ფარფალია, პავლიჩუკი, ხურცილავა, მეტრეველი, ჭლარკავა, კაკავა, ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: ა. მილჩენკო, დ. სანაია (ორივე — სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში).

გოლები: გუჩუა-2, ქობალია, აფენდოპულო, ხარჩილავა-2, კაკავა.

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0 (1:0).

გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 17 ივნისი.

„ალაზანი“: ჰუნიაშვილი, შუბითიძე, კევლიშვილი (ბარნაბიშვილი), სანადირაძე, ძნელაძე, სპანდერაშვილი, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, სოლოღაშვილი, თეთრაული (პოზოიანი), კობახიძე.

„ივერია“: ბრიაუნისი, ავალიანი, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, ჰანგურიძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, კისელიოვი, მჭედლიშვილი, ტარიელაშვილი (ჭინჭარაული), რობაქიძე (ჰუციძე).

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ო. გუნთაძე, დ. თოდუა (სამივე — თბილისი).

გოლები: სპანდერაშვილი, ზაალიშვილი.

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 1:0 (0:0).

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 17 ივნისი.

„კოლხეთი-1913“: გვახალია, თიბილაშვილი, კაკაჩია, გენძეხაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, დ. მახარაძე, ბაჯალაძე, ქუნთელია თვარაძე (ტორჩინავა).

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე (მუჯირი), მჭედლიშვილი, დურდიაძე, შეყილაძე, ზედანია, გ. მახარაძე, შანიძე, ნასუაშვილი, ტულუში, კიურჯიევი.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, გ.ხეჩუაშვილი (ორივე — თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი).

გოლი: ტორჩინავა.

XVII ტური

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 4:0 (1:0).

ოზურგეთი. „მეგობრობის“ სტადიონი. 14 ივნისი.

„მერცხალი“: დუმბაძე, ცერცვაძე, მეავანაძე, ხამაშურიძე, ტულუში, წივწივაძე (ამაშუკელი), კაშია, ავალიანი, ჩიგოგიძე, ბარამიძე, კალანდაძე.

„ალაზანი“: ჰუნიაშვილი, შუბითიძე, კევლიშვილი (ბარნაბიშვილი), სანადირაძე, ძნელაძე, სპანდერაშვილი, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, სოლოღაშვილი, თეთრაული (ლობჟანიძე), კობახიძე.

მსაჯები: მ. ჰელიძე, ს. შალამბერიძე (ორივე — თბილისი), ა. ნიშნიანიძე (ტყიბული).

გოლები: მეავანაძე, ავალიანი, ჩიგოგიძე, ამაშუკელი.

„დილა“ (გორი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1:0 (1:0).

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 14 ივნისი.

„დილა“: გია ჰანტურია, კონდრატიევი, პაპიძე, წიკლაური, დალაქიშვილი, თარხნიშვილი, მარეხაშვილი (მიხანაშვილი), მიქელაძე, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, ნეფარიძე.

„ოდიში“: გელა ჰანტურია, კვიტატიანი, ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი (ტიბუა) კვარაცხელია, მალანია, გოგოხია, ხიგვავა, ყიზილაშვილი, თევზაძე,

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ტ. ნიშნიანიძე (ორივე — თბილისი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი).

გოლი: ხორგუაშვილი.

„სანავარდო“ (სამტრედია) — „ბათუმი“ (ბათუმი) 1:0 (0:0).

სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 14 ივნისი.

„სანავარდო“: გამყრელიძე (თოდაძე), კოხრეიძე, ვაშაკიძე, ბეგეშიძე, ტონია, ლორთქიფანიძე, რუხაძე, ნოზაძე, ხობოლი, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ბადრი ბრეგვაძე.

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, მუჯირი, დურდიაძე, შეყილაძე, ზედანია, მ. მახარაძე, შანიძე, ტულუში, კიურჯიევი.

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. ლაცაბიძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი).

გააფრთხილეს: დ. კოხრეიძე, დ. ლორთქიფანიძე, მ. მახარაძე.

გოლი: დურმიშხან თვალაბეიშვილი.

„მზიური“ (გალი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 2:0 (1:0).

გალი. ცენტრალური სტადიონი. 14 ივნისი.

„მზიური“: მაკახარაშვილი, ლურწკაია, ფარფალია, პავლიჩუკი, ჩაიკა, კაკუბავა (ხურცილავა), ჭლარკავა (მეტრეველი), მორგოშია, ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.

„კოლხეთი-1913“: გვახალია, თიბილაშვილი, კაკაჩია, გენძეხაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე, ტორჩინავა, თვარაძე, ქობალია.

მსაჯები: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ნ. ჭულაყიძე (სამტრედია), თ. მაჭარაძე (ხონი).

გააფრთხილეს მ. მორგოშია.

გოლები: მორგოშია, ჩხეტია.

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:1 (0:1).

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 14 ივნისი.

„შევარდენი“: გვენცაძე (დოლიძე), ელიაშვილი, ნადარეიშვილი, ტარტარაშვილი, მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე, შალამბერიძე, ზეიკიძე (ყიფიანი), ქობელაშვილი, მინაშვილი.

„გურია“: ქანთარია, ტყებუჩავა, გუჯაბიძე, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, მიქაბერიძე, მეგრელაძე (ქურიძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე (კვინტრაძე).

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი) ნ. კილაძე (თბილისი), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

გოლი: კორღალიძე.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „იბერია“ (თბილისი) 0:0.

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 14 ივნისი.

„ამირანი“: კოპალიანი, ახვლედიანი, ძალამიძე, შამუგია, ჩხვირკია, შიროკი, ლურწკაია, აფენდოპულო, ქობალია (გაბისონია), გუჩუა, პაპასკირი.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, მაჰავარიანი, შელია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ინალიშვილი, ქეცბაია, კაჭარავა, ყაველაშვილი, შ. არველაძე (ნემსაძე).

მსაჯები: გ. კალანდია (ზუგდიდი), მ. აბაიაძე, ლ. რაზმაძე (ორივე — გორი).

გააფრთხილეს გ. ინალიშვილი.

* * *

უცხოეთის ფეხბურთის

ბონჰოფი ფრთხილობს

ახლო წარსულში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი, 39 წლის რაინერ ბონჰოფი, ახლა გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ბერტი ფოგტსის თანაშემწედ მუშაობს. ადრე იგი მიონხენგლადბახის „ბორუსიის“, „ვალენსიის“ (ესპანეთი), „კიოლნისა“ და „ჰერტას“ წამყვანი ნახევარმცველი იყო. აი, რამდენიმე ნაწყვეტი მისი უკანასკნელი ინტერვიუდან:

● როგორც კი დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი, ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ ორივე გერმანიის ნაკრებთა შერწყმის შემდეგად წარმოქმნილი გუნდი უძლეველი იქნებოდა. თქვენ თუ იზიარებთ ამ აზრს?

— ეს ყველაფერი ფრანცმა ეიფორიის დროს თქვა, როცა ძალიან კარგ ხასიათზე იყო. რა თქმა უნდა, ძალზე ოპტიმისტური განცხადებაა: რა ვიცით, შემდეგში, რა მოხდება. თუმცა, ცხადია, ორი გუნდის შერწყმით, გერმანიის ნაკრების პოტენციალი გაიზარდა. ჩვენ ერთობ ვაფასებთ ზოგიერთ ფეხბურთელს ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებიდან, რომლებიც ახლა ბუნდესლიგაში გამოდიან: ზამერს, დოლს, თომსა და კირსტენს.

● ამ ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე რას აკეთებდით?

— ბუნდესლიგაში მოთამაშე „ბაიერის“ (იურდინგენი) მწვრთნელის ასისტენტი ვიყავი. ისე კი, რა თქმა უნდა, მსურს, დამოუკიდებლად ვიმუშაო.

● თქვენ ნაკრებთან მუშაობა თვით ფოგტსმა შემოგთავაზათ?

— არა. ეს გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარის ჰერმან ნოიბერგერის წინადადება გახლდათ.

● შეეჩვიეთ ახალ თანამდებობას?

— ეს არ არის იოლი, მით უმეტეს, კაცისთვის, რომელიც აქამდე საკლუბო გუნდში მუშაობდა. რა თქმა უნდა, როცა მსოფლიო ჩემპიონებთან მუშაობ, პასუხისმგებლობაც იზრდება და მოტივაციაც სულ სხვაა.

● როგორ თანამშრომლობთ თქვენ და ფოგტსი?

— რა ხანია, რაც მას ვიცნობ. ბერტი მეტად სერიოზული, მცოდნე და მიზანდასახული კაცია. ამჟამად, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე მის გარდა სხვა ვერავინ წარმომიდგენია.

● არც თქვენი თავი?

— (ეცინება). რას ამბობთ, მე ხომ ასისტენტადაც სულ ახლახან დამნიშნეს, ფოგტსი წლების განმავლობაში ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელი იყო, დიდი გამოცდილება შეიძინა.

● შემდეგში?

— ჯერ ძალიან ადრეა ამაზე ლაპარაკი. ვნახოთ, რა მოხდება შემდეგში.

● იზიარებთ ფოგტსის მეთოდებს?

— დიახ, ვიზიარებ. ჩვენ ერთმანეთს სრული ნდობა გამოვუცხადეთ.

● თქვენი გუნდი მსოფლიო ჩემპიონია. ახლა თქვენგან მხოლოდ გამარჯვებებს ითხოვენ...

— დიახ, გულშემატკივარს მხოლოდ გამარჯვებები სურს. მას გაგონებაც არ უნდა, რომ შეიძლება წამყვანი მოთამაშეები დაშავდნენ, იყოს სხვადასხვა ხელისშემშლელი მიზეზიც და ა. შ. საფეხბურთო ცხოვრება კი მხოლოდ გამარჯვებებისაგან როდი შედგება. ჩვენი საქმე მაშინ იქნება კარგად, თუ ყველა მოთამაშე გაიცნობიერებს, როგორი მოვალეობა ეკისრება მას, როგორი პატივია გერმანიის ნაკრებში თამაში.

* * *

ერთი ადგილი „გაათავისუფლა“

მარეკ ლესნიაკი ადრე პოლონეთის ნაკრებში თამაშობდა, შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა და ბუნდესლიგის კლუბ „ბაიერში“ (ლევერკუზენი) დაიწყო გამოსვლა. მალე მან გერმანელ ქალზე იქორწინა და ამ ქვეყნის მოქალაქეობაც მიიღო. ამრიგად, „ბაიერს“ ერთი ადგილი „გაუთავისუფლდა“ უცხოელი ფეხბურთელის მისაწვევად.

ჯონ ბარნსით დაინტერესდნენ

„ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკრების ცნობილი შავკანიანი თავდამსხმელი ჯონ ბარნსი კვლავინდებურად შესანიშნავად თამაშობს. მისით ბევრი ინგლისური და საზღვარგარეთული კლუბი დაინტერესდა, პირველ ყოვლისა, ასახელებენ გენუის „სამპდორიას“.

არ აწყენდათ...

ბრაზილიაში ახლა ერთობ პოპულარულია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის შესახებ. ბრაზილიელი მაყურებლები სიამოვნებით იგონებენ განუმეორებელ ნაკრებს პელეს ხელმძღვანელობით. დიდი ნაწილი ეთმობა ფინალურ მატჩს იტალიელების წინააღმდეგ. მიიჩნევენ, რომ ეს ფილმი ხშირად უნდა ნახოს... ბრაზილიის ახლანდელმა ნაკრებმა!

მომღერალი ვიცე-პრეზიდენტი

ახლო წარსულში კარგად ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა, მსოფლიო ჩემპიონმა ბერნდ ჰოლცენბაინმა, რომელიც ახლა ბუნდესლიგის კლუბ „აინტრახტის“ (მაინის ფრანკფურტი) ვიცე-პრეზიდენტად მუშაობს, გადაწყვიტა სიმღერაშიც სცადოს ბედი.

45 წლის ჰოლცენბაინმა ჩაიწერა სიმღერები „ვინერსის“ პოპჯგუფთან ერთად.

* * *

რა ისმის უცხოეთიდან?

მაინც ბოლო ტურში გადაწყდა

გერმანიის ჩემპიონი ფეხბურთში „კაიზერსლაუტერნი“ გახდა. ეს იყო ბუნდესლიგის წლევანდელი გათამაშების ყველაზე დიდი სენსაცია. სიუჟეტის დრამატიზმს სხვასთან ერთად ისიც განსაზღვრავდა, რომ „კაიზერსლაუტერნის“ გამარჯვება ბოლო ტურის წინაც არ იყო გარანტირებული. მიუნხენის „ბაიერნს“ შეეძლო დასწეოდა ლიდერს და გარკვეული პრობლემების წინაშე დაეყენებინა იგი, ოღონდ ბოლო მატჩი შინ უსათუოდ უნდა მოეგო. „ბაიერნისათვის“ ასეთი „ექსტრემალური სიტუაცია“ უჩვეულო არ გახლდათ. მით უფრო, რომ ბოლო მეტოქე სუსტი ჰყავდა — იურდინგენის „ბაიერი“ სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე იმყოფებოდა. მაგრამ მიუნხენელ ფეხბურთელებს მარტო საკუთარი წარმატება როდი აძლევდათ ხელს — თავის მხრივ „კაიზერსლაუტერნსაც“ უნდა წაეგო სტუმრად ბოლო მატჩი „კიოლნთან“. ერთი სიტყვით, „ბაიერნს“ ჰქონდა გარკვეული შანსი, თანაც საკმაოდ რეალური, მაგრამ...

„კაიზერსლაუტერნმა“ კიოლნში ნამდვილი სასწაული მოახდინა და გუნდი, რომელიც უეფა-ს ტურნირში თამაშის შანსებს ინარჩუნებდა, დაამარცხა ანგარიშით 6:2. მიუნხენში ცნობილი გახდა, რომ „კაიზერსლაუტერნი“ პირველ ტაიმს იგებდა ანგარიშით 4:1 (ამ ტურის ყველა მატჩი ერთსა და იმავე დროს დაიწყო) და „ბაიერნის“ გეგმებს განხორციელება აღარ ეწერა, ამიტომ შეხვედრა იურდინგენის გუნდთან ფრედ 2:2 დამთავრდა.

ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი საბოლოოდ ასე გამოიყურება (პირველი ექვსეული):

		თ.	ქ.
1.	„კაიზერსლაუტერნი“	34	48
2.	„ბაიერნი“ (მიუნხ.)	34	45
3.	„ვერდერი“	34	42
4.	„აინტრახტი“ (ფრანკფ.)	34	40
5.	„ჰამბურგი“	34	40
6.	„შტუტგარტი“	34	38

უმაღლესი ლიგა დატოვეს იურდინგენის „ბაიერმა“ და „ჰერტამ“. მათ ნაცვლად მომავალ სეზონში ითამაშებენ: „შალკე-04“ და „დუისბურგი“. ბოლოდან მესამე ადგილზე გასული „სენტ-პაული“ გადასასვლელ მატჩში „შტუტგარტერ კიკერსს“ შეხვდება. დაბოლოს ერთი სიახლე: მომავალ სეზონში ბუნდესლიგას შეავსებს გდრ-ის ბოლო ჩემპიონატების ორი საუკეთესო კლუბი „ჰანზა“ (როსტოკი) და „დინამო“ (დრეზდენი).

მარცხი, ავსტრალიელებთან

პორტუგალიაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის. წინასწარ ჯგუფებში გაიმართა მეორე ტურის მატჩები.

ბრაგაში ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრალიისა და საბჭოთა კავშირის გუნდები. ავსტრალიელმა მელოუნმა 22-ე წუთზე გაიტანა ბურთი და ამ გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ეს გუნდი ახლა 4 ქულით ლიდერობს „ც“ ჯგუფში და უკვე განაღდებული აქვს ადგილი მეოთხედფინალში. შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსს აქ ინარჩუნებენ საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის გუნდები, მათ 2-2 ქულა აქვთ, მაგრამ ეგვიპტელებს, რომლებმაც მეორე მატჩში დაამარცხეს ტრინიდად-ტობაგოს ნაკრები ანგარიშით 6:0, უკეთეს მდგომარეობაში არიან. მათი ბურთების სხვაობაა 6-1, საბჭოთა გუნდისა 1-1. წინასწარი შეჯიბრების ბოლო ტურში საბჭოთა გუნდი ტრინიდად-ტობაგოს ნაკრებს ხვდება, ეგვიპტელები კი ავსტრალიელებს.

„ბ“ ჯგუფში მეორე ტურის შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: შვეცია— კოტ დივუარი 4:1, „დ“ ჯგუფი — ესპანეთი — ურუგვაი 6:0, ინგლისი — სირია 3:3.

ავსტრალიელთა გარდა მეოთხედფინალში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს პორტუგალიელებმა („ა“ ჯგუფი) და ესპანელებმა („დ“ ჯგუფი). მსოფლიო ჩემპიონატი 30 ივნისს დამთავრდება.

„ბატონებო, ჩართეთ ძრავები!“

„**ჯენთლმენ**, სტარტ იორ ენჯინზ!“ — სიტყვები, რომლებიც ტრადიციულად იქცნენ, ეკუთვნის „ინდიანაპოლის 500“-ის რბოლის პირველი ორგანიზატორის ტონი ჰალმენის ქალიშვილს, მერი ჰალმენ ჯორჯს, რომელმაც საზეიმოდ გახსნა მსოფლიოში ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ასპარეზობა.

საწვრთნელი რბოლები ინდიანაპოლისის ოვალზე შეჯიბრებამდე ერთი კვირით ადრე დაიწყო. გუნდები ავტომობილებს ამოწმებდნენ. ერთ-ერთი ასეთი გამოცდის დროს მარკ დისმორი („პენსკე-ბიუიკი“) დიდი სიჩქარით შეეჯახა ბარიერს და მარჯვენა ხელისა და ფეხის ტრავმა მიიღო.

დენი სალივენმა („ლოლა-ალფა რომეო“) ერთი წრე საათში 351.385 კილომეტრი სიჩქარით დაფარა, ხოლო რიკ მერსმა („პენსკე-შევროლე“) იგივე მანძილი უფრო სწრაფად, საათში 360,671 კილომეტრი სიჩქარით გაიარა და „ინდი-500“-ში სტარტის პირველი რიგიდან აღების რეალური შანსი გაუჩნდა.

ამერიკელი დენი სალივენის მიერ კარგი შედეგის ჩვენების შემდეგ „ალფა რომეომ“ შეჯიბრების მონაწილეთა განაცხადში კიდევ ერთი ავტომრბოლის გვარი შეიტანა. ესაა კოლუმბიელი რობერტო გუერერო.

26 მაისს 33 ავტომრბოლი, მათი გუნდები და მექანიკოსები საბოლოოდ მოემზადნენ ინდიანაპოლისის 500 მილზე სასპარეზოდ.

„პოულ პოზიშენ“, ე. ი. პირველი ადგილი საკვალიფიკაციო რბოლების შემდეგ, მიიღო ამერიკელმა რიკ მერსმა („პენსკე-შევროლე“). მის გვერდით, რაც ყველასთვის მოულოდნელი იყო, ადგილი დაიკავა 56 წლის ალან ჯოზეფ ფოიტმა. მესამე პოზიციაზე დადგა ანდრეტების ოჯახის უფროსი წარმომადგენელი, მარიო ანდრეტი. მამასთან ერთად სასპარეზოდ გამოვიდნენ ვაჟებიც — მაიკლი და ჯეფი, აგრეთვე, მარიოს ძმისშვილი, ჯონ ანდრეტი.

სტარტზე დადგა უილი რიბსიც, პირველი ზანგი პილოტი მსოფლიო ავტოსპორტის ისტორიაში, აგრეთვე, ჰირო მაცუშიტა — პირველი იაპონელი ინდიანაპოლისში მოასპარეზეთა შორის.

შეჯიბრებამდე ერთი დღით ადრე გაიმართა „კარბიურეიშენ დეი“ — ასპარეზობა, რომელიც ძალიან ჰგავს „ფორმულა 1“ კლასში „ძრავის გასახურებელი წრის“ გავლას. აქ საუკეთესო იყო კევინ კოგანი („ლოლა-ბიუიკი“).

ინდიანაპოლისის ოვალის სიგრძე 4023 მეტრია და შეიცავს 1,2 კილომეტრი სიგრძის სწორ მონაკვეთებს ძალზე სახიფათო ვირაჟებით. ტრიბუნებზე 250 ათასი დასაჯდომი და 150 ათასი დასადგომი ადგილია.

შეჯიბრების დღეს, დილის 10 საათზე, საბოლოოდ გაირკვა მოასპარეზეთა ვინაობა. სწორედ ამ პერიოდში გულშემატკივრებს უფლება ეძლევათ დაათვალიერონ გუნდების ბოქსები და გაესაუბრონ ცნობილ ავტომრბოლებს.

11 საათისთვის ყველა მოასპარეზემ საკუთარი სარბოლო ავტომობილის კოკპიტში დაიკავა ადგილი. ტრასა დაცარიელდა და ავტომრბოლები საბოლოო გასახურებელ წრეზე გამოვიდნენ. სასტარტო ბილიკზე სათანადო ადგილის დაკავების შემდეგ წამიერი სიჩუმე დაარღვია სამოცდამეთხუთმეტეჯერ წარმოთქმულმა ტრადიციულმა მიმართვამ ავტომრბოლებისადმი: „ჯენთლმენ, სტარტ იორ ენჯინზ!“ (ბატონებო, ჩართეთ ძრავები!“) და დაიწყო საინტერესო შეჯიბრება, რომელმაც 2 საათზე მეტ ხანს გასტანა.

სხვათა შორის, „ინდის“ კლასის და „ფორმულა 1“-ის ავტომობილები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, ოღონდ პირველნი ჯერ კიდევ ტურბოკომპრესორიანი ძრავებით აღჭურვილნი და უფრო მძიმენიც არიან. ამ ავტომობილით პილოტს შეუძლია ტრასის სწორ მონაკვეთზე საათში 380 კილომეტრი სიჩქარე განავითაროს, ხოლო მოსახვევები 360-ით გაიაროს. შეჯიბრების პერიოდში დაშვებულია საბურავების 7-8-ჯერ გამოცვლა და საწვავის ხელახლა ჩასხმა.

წვიმის გამო, შეჯიბრების ერთი საათით გადადებისა და 2-საათიანი მომქანცველი ასპარეზობის შემდეგ რიკ მერსმა გაიმარჯვა „ინდიანაპოლისის 500 მილის“ წლევანდელ გათამაშებაში, ხოლო ალან ჯოზეფ ფოიტი ავარიაში მოჰყვა კოლუმბიელ რობერტო გუერეროს და ამერიკელ კევინ კოგანის „დახმარებით“, რომელთა ავტომობილების ნამსხვრევებმაც დააზიანეს 56 წლის ვეტერანი ავტომრბოლის მანქანა და ფინიშამდე 26 წრით ადრე იგი ასპარეზობას გამოეთიშა, დაშავებული კევინ კოგანი კი საავადმყოფოში მოათავსეს.

მერსს, რომელმაც მეექვსეჯერ მოიგო საკვალიფიკაციო რბოლა, ახლა ამ ტრასაზე 4 პირველი, 1 მეორე, 2 მესამე და 2 მეხუთე ადგილი აქვს მოპოვებული „ინდის“ 14 გათამაშებაში.

ალან ჯოზეფ ფოიტისა და ელან ზერი-უფროსის მსგავსად, რიკ მერსიც „ინდი 500“-ის ოთხგზის გამარჯვებულია, ხოლო გუნდის მენეჯერის, როჯერ პენსკესთვის ეს მერვე პირველი ადგილია ინდიანაპოლისის ოვალზე.

პირველმა ზანგმა პილოტმა, უილი რიბსმა, მხოლოდ 6 წრე გაიარა. ძრავის მწყობრიდან გამოსვლამ იგი შეჯიბრებიდან გამოთიშა.

მაიკლ ანდრეტის, პირველად მისი სპორტული კარიერის მანძილზე, შეეძლო „ინდი 500“-ის მოგება, რომელშიც მამამისმა, მარიომ, 1969 წელს იმარჯვა, მაგრამ რიკ მერსმა გაუსწრო ჯერ ფოიტს, შემდეგ კი მაიკლ ანდრეტისაც.

შეჯიბრება რიკ მერსისა და მაიკლ ანდრეტის ორთაბრძოლაში გადაიზარდა მაშინ, როცა ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია, „პენსკე-შევროლე“) ფინიშამდე 29 წრით ადრე გამოეთიშა ასპარეზობას სიჩქარეების გადაცემათა კოლოფის დაზიანების გამო.

მაიკლ ანდრეტიმ შეამჩნია, რომ მისი ავტომობილი სიჩქარეს კარგავდა და გამაფრთხილებელი ყვითელი ალმის ჩვენების შემდეგ ბოქსში შევიდა (მაშინ, როცა ფინიშამდე 16 წრე იყო დარჩენილი). ამით ისარგებლა რიკ მერსმა და დაწინაურდა, მაგრამ ბოქსიდან გამოსვლისას, მეტოქეს სწრაფად აედევნა მაიკლ ანდრეტი.

თითქმის ყველა, 400.000-ვე მაყურებელი, წამოდგა ფეხზე, როცა მაიკლ ანდრეტიმ, ბრწყინვალე ტექნიკური ილეთით, მოსახვევში შესვლისას, მარცხენა მხრიდან გაუსწრო რიკ მერსს 187-ე წრეზე. მაგრამ, „ინდი 500“-ის 1979, 1984 და 1988 წლების გამარჯვებულს იმ დღეს ბედი სწყალობდა და ერთი წრის შემდეგ კვლავ დაიბრუნა ლიდერის პოზიცია, მეცხრამეტედ და საბოლოოდ.

ემერსონ ფიტიპალდი, რომელიც წინა სამი წლის მანძილზე ინდიანაპოლისში მეორე, პირველი და მესამე იყო, სამჯერ შევიდა ბოქსში ავტომობილის გასამართავად და, როგორც აღვნიშნეთ, სიჩქარეების გადაცემათა კოლოფის მწყობრიდან გამოსვლამ იგი რბოლიდან გამოთიშა.

ალან ჯოზეფ ფოიტი, 56 წლის ვეტერანი ავტომრბოლი, რომელიც ამთავრებს სპორტულ კარიერას, ზემოთ აღნიშნული ავარიის შემდეგ, ნელ ტემპში უვლიდა გარს ინდიანაპოლისის ოვალს და ემშვიდობებოდა გულშემატკივრებს, რომლებიც ტაშით აცილებდნენ მას.

ამგვარად, „ინდიანაპოლისის 500 მილის“ 75-ე გათამაშების პრიზიორთა ხუთეული ასე გამოიყურება: 1. რიკ მერსი (აშშ, „პენსკე-შევროლე“); 2. მაიკლ ანდრეტი (აშშ, „ლოლა-შევროლე“); 3. არი ლიენდიკი (ჰოლანდია, „ლოლა-შევროლე“); 4. ელან ზერი-უმცროსი (აშშ, „ლოლა-შევროლე“); 5. ჯონ ანდრეტი (აშშ, „ლოლა-შევროლე“).

დავით ჩუბინიძე

◆ ◆ ◆

„დამნაშავე“ ცხენები და მართლმსაჯულება

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც მართლმსაჯულების წინაშე წარდგა... ცხენი. განაჩენიც ყოველთვის არ თავსდებოდა ჩვეულებრივი ლოგიკის ჩარჩოებში.

მაგალითად, XVII საუკუნეში თავის პატრონთან ერთად კოცონზე დაწვეს ცნობილი ულაყი მაროკო, რომელსაც ბრალად დასდეს ეშმაკთან „ურთიერთობა“.

იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ცხენი მთავარ მოწმედ იქცა თავისი პატრონის სასამართლოზე. 1892 წელს ნიუ-იორკში ასამართლებდნენ ვინმე ე. ლ. პრობსკოს, რომელსაც ბრალად ედებოდა თავისი ნასწავლი ცხენის ნიჭისა და უნარის დემონსტრირება კვირა დღეს. საქმე ის არის, რომ იმ დროის კანონით იკრძალებოდა კვირაობით საცირკო წარმოდგენების გამართვა. ბრალდებულის დამცველი ამტკიცებდა, რომ წარმოდგენას „ინტელექტუალური ხასიათი“ ჰქონდა. სწორედ ამ ვერსიის მოწმე იყო ულაყი მუჰამედი, რომელიც ჩლიქის დარტყმებით უპასუხებდა მოსამართლის შეკითხვებს. ეს იყო პირველი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც ამერიკის სასამართლომ ცხენი სრულუფლებიან მოწმედ ცნო.

რაც შეეხება „საკვირაო“ შეზღუდვებს, დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, დღემდე მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც, აკრძალულია კვირა დღეს ცხენის საკვების გაყიდვა.

ცხენების წინააღმდეგ სასამართლო სანქციების გამოტანა, ჩვენს დროშიც ხდება. ბრაზილიის ქალაქ პოკინიოსში უმეთვალყუროდ მიტოვებული ცხენი ქუჩას დაუყვა. მან, რა თქმა უნდა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია შუქნიშანს და.. შეიქმნა საავარიო სიტუაცია. ცხენის პატრონი სასამართლოზე არ გამოცხადდა, რადგანაც თავს უდანაშაულოდ თვლიდა, მოსამართლეებიც იძულებული გახდნენ, იურიდიული პრაქტიკისთვის უჩვეულო განაჩენი გამოეტანათ: საგზაო მოძრაობის დამრღვევი ცხენი... სამი თვით „ჩასვეს“ ქალაქის ციხეში.

მეხიკოს დედაქალაქის ქუჩებში წესრიგის დამყარების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებმა, გადაწყვიტეს მოძრაობის წესებში გამოცდები მოეწყოთ მეეტლეებისთვის. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მათ ეძლევათ სპეციალური მოწმობები: ერთი — თავად მეეტლეს, მეორე — ცხენს. ორივე საბუთში ჩაკრული უნდა იყოს... ფოტო.

გიორგი ქორქია

ნავრატილოვას ოლიმპიური შანსი

ლონდონი. უიმბლდონის ტურნირის წინ, რომელიც 24 ივნისს იწყება, ინგლისის სხვადასხვა ქალაქში მიკრო-შეჯიბრებები იმართება. ერთი ასეთი „მოთელვა“ ბირმინჰემში უკვე ჩაატარა უიმბლდონის რეკორდსმენმა 34 წლის მარტინა ნავრატილოვამ (რეკორდსმენმა იმიტომ, რომ უიმბლდონი ცხრაჯერ აქვს მოგებული) და ჩანს თავს კარგად გრძნობს, ვინაიდან ფინალში დიდი უპირატესობით აჯობა ნატალია ზვერევას.

ორიოდე დღის შემდეგ ნავრატილოვამ უკვე ისტბრნში, ფაქტობრივად, გაანადგურა იტალიელი ლაურა გოლარსა — 6:0,6:0. ჟურნალისტების აზრით, ამერიკელი ჩოგბურთელის ამ ფსიქოლოგიურ შეტევებს სასურველი შედეგი მოაქვს — მეტოქეები მის მხარეს განსაკუთრებული მოკრძალებით იცქირებიან.

მარტინას უახლოესი გეგმები ოლიმპიადაში მონაწილეობასაც მოიცავს. მას დიდი სურვილი აქვს, კარიერის დასასრულს ოლიმპიადაზეც გამოსცადოს თავი, მაგრამ ამ სურვილის აღსრულება ცოტა რთულია, ვინაიდან, აშშ-ის გუნდი უკვე დაკომპლექტდა. გარდა ამისა, მარტინამ თავის დროზე უარი თქვა ფედერაციის თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე, რაც მას ავტომატურად უხსნიდა გზას ნაკრებისაკენ. ახლა ერთადერთი გამოსავალია პერსონალური მიწვევა, მაგრამ იკისრებს თუ არა ამას საერთაშორისო ფედერაცია, კაცმა არ იცის.

ინფორმაცია

● **მაინის ფრანკფურტი.** თანამედროვე ხუთჭიდელ ქალთა ერთდღიან ტურნირში წარმატებით იასპარეზა ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონმა, უნგრელმა ირენ კოვაჩმა (5620 ქულა).

● **თელ-ავივი.** კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის მორიგი მატჩები დამთავრდა ასე: ბულგარეთი-ისრაელი 68:56, ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი 91:61, იუგოსლავია — პოლონეთი 100:62, სსრკ — იტალია 72:65.

„სპორტპროგნოზი“, 26-ე ტირაჟის პროგრამა (29-30 ივნისი)

სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)		პროგნოზი			
1. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „პამირი“ (დუშანბე)	29.VI	60	30	10	2
2. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	30.VI	40	50	10	2
სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)					
3. „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი)	30.VI	50	30	20	2
4. „ნოვბახორი“ (ნამანგანი) — „ტილიგული“ (ტირასპოლი)	30.VI	20	40	40	1
5. „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი)	30.VI	70	20	10	2
6. „ლოკომოტივი“ (ნიჟნი ნოვგოროდი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი)	30.VI	40	50	10	X
7. „ნეფთჩი“ (ბაქო) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)	30.VI	50	20	30	2
8. „დინამო“ (სოხუმი) — „კაირატი“ (ალმა-ათა)	30.VI	20	50	30	1
9. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „პარდაუგავა“ (რიგა)	30.VI	70	10	20	X
10. „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)	30.VI	30	30	40	2
11. „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)	30.VI	80	10	10	X
12. „ბუკოვინა“ (ჩერნოვცი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი)	30.VI	30	40	30	1
სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა, ცენტრალური ზონა)					
13. „ტერეკი“ (გროზნო) — „კრილია სოვეტოვი“ (სამარა)	30.VI	60	40	0	1

რედაქტორი
ჩინგიზ ბაჩეჩილაძე

ცხენოსნობის მოყვარულებს!

თბილისის ეროვნულ იპოდრომზე გრძელდება ცხენთგამოცდის სეზონი. კვირას, 23 ივნისს გაიმართება დოღი წმინდა სისხლიანი ინგლისური ჯიშის ცხენების მონაწილეობით. გათამაშდება ტრადიციული ჯილდოები.

იმუშავებს ტოტალიზატორი.

ჩვენი მისამართია: მ. თამარაშვილის ქ. № 13.

იპოდრომის დირექცია

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამ სახეობის მთავარ სპეციალისტს გოდერძი მახარაძეს მამის

აკაკი მახარაძის

გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები: მ. ძეძამიძე, ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-35
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „[illegible]“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს“ სტამბა. 380008, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, [illegible], 20.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20